დუშეთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის სხდომის

ოქმი N1

დუშეთი 01.07.2022

სამუშაო ჯგუფის სხდომა ჩატარდა 2022 წლის 1-ლ ივლისს, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში, ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27.

სამუშაო ჯგუფის წევრები:

ვასილ წიკლაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის თავჯდომარე;

თამილა ნადირაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მ/შ, სამუშაო ჯგუფის თავჯდომარის მოადგილე;

ანნა კაკალაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი დასაქმებისა და სოციალური დაცვის სფეროში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

მარინა კაიშაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ნონა აფციაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ნინო ჭინჭარაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ფსიქოლოგი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

მარიამ ავლახაშვილი - დუშეთის მუნიცუპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული სოციალური მუშაკი, სამუშაო ჯგუფის წევრი, მდივანი - სამუშაო ჯგუფის სხდომას აფორმებს ოქმის სახით;

მარიამ ბედუკაძე - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის სახითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

თამარ კავთელიშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დაგეგმვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ფინანსისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი.

სხდომას ესწრება სამუშაო ჯგუფის სრული შემადგენლობა, ამდენად სხდომა უფლებამოსილია გადაწყვეტილების მისაღებად.

სამუშაო ჯგუფის მდივანმა წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის N ბ132.1322218219 (01.07.2022) ბრძანების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის ჩატარების შესახებ. კვლევის მიზანია მოწყვლადი ჯგუფებისა და ადგილობრივი თემის საჭიროებათა გამოვლენა.

ვინაიდან დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვები არ გამოთქმულა, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული, ბავშვისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის შესახებ.

/მომხსენებელი: მარიამ ავლახაშვილი/

მარიამ ავლახაშვილმა სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - ბავშვისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების შესწავლის მიზნით, ფოკუს-ჯგუფის მიერ შერჩეული ხუთი სამიზნე ჯგუფის შესახებ, მონაცემების მოძიების და ანალიზისთვის, დუშეთის მუნიციპალიტეტის 18-ვე ადმინისტრაციული ერთეულის მერის წარმომადგენლებისთვის პირველადი აღრიცხვის ფორმებისა და ანკეტების გადაცემა.

აზრი გამოთქვეს: სხდომის თავჯდომარე, ვასილ წიკლაური: კვლევის საველე სამუშაოები უნდა ჩატარდეს წინასწარ შედგენილი ანკეტის საფუძველზე, თითოეული სამიზნე ჯგუფის წევრის გაცნობიერებული და გამოხატული/ გამოთქმული საჭიროებების დასადგენად.
ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები, საჭიროების გამოვლენის მიზნით, რეპრეზენტაბელურობის ზღვარის გათვალისწინებით შერჩეულ რესპონდენტებთან ინდივიდუალურად ჩაატარებენ ანკეტურ გამოკითხვას. გამოკითხვის პროცესში დაცული უნდა იყოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის მოთხოვნები. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, 18-ვე მერის წარმომადგენელს მიეცემა დავალება, რაც შეიძლება სწრაფად, მათი უფლებამოსილების მოქმედების ადმინისტრაციულ ერთეულებში, დაიწყონ კვლევის საველე სამუშაოები, ანუ მოსახლეობის ანკეტური გამოთიკხვა.

საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოთქმულა.

გადაწყვეტილება: მერის წარმომადგენლებმა დაიწყონ მონაწილეთა ანკეტური გამოკითხვა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა ამოიწურა, სამუშაო ჯგუფის სხდომა გამოცხადდა დამთავრებულად.

ოქმი შედგენილია ერთ პირად.

სამუშაო ჯგუფის თავჯდომარე: /ვ. წიკლაური/

კომისიის მდივანი: /მ. ავლახაშვილი/